

ანტიკური ლიტერატურა

“უჩინარი” მეორეხარისხოვანი პერსონაჟები  
ანტიკურ ლიტერატურაში

ვახტანგ ენდელაძე

endeladze.vakhtang@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.12>

ტრადიციული გაგებით, პერსონაჟი უნდა იყოს ამბის მონაწილე, ასრულებდეს მოქმედებას, გამოხატავდეს დამოკიდებულებას ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის მიმართ... ამ შეხედულებას, გარკვეულწილად, ცვლიან ის პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ იხსენიებიან სხვათა მიერ, მაგრამ მათ უკავშირდება ამბის განვითარების რომელიმე შესაძლო ვარიანტი. სტატიაში განვიხილავთ ანტიკური ლიტერატურის ტექსტების იმ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს, რომლებიც სიუჟეტის განვითარების პროცესში არჩანან, მაგრამ გარკვეული, ზოგჯერ, საკვანძო ფუნქციაც კი აკისრიათ. უფრო მეტიც, ისინი ეპიზოდურ როლს კი არ ასრულებენ, არამედ მთელი სიუჟეტის მანძილზეც კი ფიგურირებენ. ეს „უჩინრობა“ სულაც არ უშლის ხელს მათ ინდივიდუალიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ანტიკური ლიტერატურა, მეორეხარისხოვანი უჩინარი პერსონაჟი.

ანტიკურ ლიტერატურაში უამრავი ცნობილი პერსონაჟია, რომლის სახელსაც უკავშირდება მითები, გამოთქმები, იდიომები, კონცეფციები და სხვა. მაგალითად, როგორცაა: აქილევსის ქუსლი, ოიდიპოსის კომპლექსი, მშვენიერი ელენე, მენტორული საუბრები და მრავალი სხვა.

მეორეხარისხოვან პერსონაჟებზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე, რომ ანტიკურ ლიტერატურაში ისეთი პერსონაჟებიც გვხვდებიან, რომელთაც არც სახელი აქვთ, არც დიდად იქცევენ ყურადღებას, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი საკმაოდ საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნიან.

ტრადიციული გაგებით, პერსონაჟი გარკვეულ ფუნქციას უნდა ასრულებდეს ტექსტში, უნდა იყოს ამბის მონაწილე, ასრულებდეს მოქმედებას, გამოხატავდეს დამოკიდებულებას საგნების, მოვლენების, სხვა პერსონაჟების მიმართ. ამ შეხედულებას, გარკვეულწილად, ცვლიან ის პერსონაჟები, რომლებიც მხოლოდ იხსენიებიან სხვათა მიერ, მაგრამ

### ვ. ენდელაძე

---

მათ უკავშირდება ამბის განვითარების რომელიმე შესაძლო ვარიანტი.

მსგავსი პერსონაჟები განსაკუთრებული სიმრავლით გამოვლინდა ანტიკურ დრამასა და მხატვრულ პროზაში (რომანში).

სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეში“ ოიდიპოსი იოკასტესთან დიალოგში ახსენებს ვიღაც ღვინით გამოლეული კაცს (მემთვრალეს), რომელსაც უთქვამს, თითქოსდა მეფის მიგდებული ყოფილაო ოიდიპოსი. მემთვრალე, რომლის სიტყვებიც ოიდიპოსს კიდევ უფრო აფიქრებს და აშინებს, ტირესიასის სიტყვები არ გამართლდეს (სოფოკლ.ოიდ.1, 23-25).

ეს მემთვრალე, რომლის სიტყვებიც მთავარი პერსონაჟის აფორიაქებას იწვევს, ტექსტში არ ჩანს და მას მხოლოდ ოიდიპოსის მონათხრობში ვხვდებით. ეს არის ერთგვარი თხრობა თხრობაში, პერსონაჟი - პერსონაჟისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების გარეშე.

ზოგადად, მეორეხარისხოვანი პერსონაჟები შეიძლება ნაკლებად დახასიათდნენ, როგორც ყველა იმ ნიშნის მქონენი, რომლებითაც ტრადიციულად ამბის მონაწილე უნდა ხასიათდებოდეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მათ ინდივიდუალიზაციას. უფრო მეტიც, მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, მიუხედავად იმისა, ჩანს თუ არა ტექსტში, შეიძლება საინტერესო ფუნქციის მქონე იყოს (Carr 2014:3-15).

სოფოკლეს ტრაგედიაში „აიასი“ ასეთი პერსონაჟია ჰექტორი. იგი სიუჟეტის განვითარების დროს მკვდარია, თუმცა მაინც აკისრია გარკვეული ფუნქცია. ტევკროსი ამბობს: „ჯერ ხომ ჰექტორი, აიასის მიძღვნილი ღვედით, მყარად მიბმული ცხენოსანთა ეტლის ბორბალზე, ეწამა, ვიდრესული სხეულს არ გაეყარა. აიასი კისწორედ მისგან მიძღვნილი ძღვენით გარდაიცვალა, სასიკვდილოდ ზედდამხოზილი (სოფ. აიას.1030-1035). შეიძლება ითქვას, რომ მკვდარი ჰექტორი კლავს აიასს.

არცთუ ისე იშვიათად, უჩინარი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები მთავარი გმირის ხასიათის გახსნას, მის უკეთ წარმოჩენას უწყობენ ხელს. მაგალითად, ევრიპიდეს ტრაგედიაში „ჰეკაბე“ კასანდრა, ჰეკაბეს შვილი, არ ჩანს, უშუალოდ არ იღებს მოქმედების განვითარებაში მონაწილეობას.

ჰეკაბე სთხოვს აგამემნონს, შემადლებინე, შენი ხელით ვიძიო შურიო. გარდა ამისა, დახმარების სანაცვლოდ, დედა აგამემნონს კასანდრას სთავაზობს: „მეფევ, რამდენად გიღირს მისი მოალერსება? სხვა შვილებისთვის კარგი და კასანდრასთვის? (ევრ. ჰეკ. 845).

ამ შემთხვევაში, ჰეკაბეს ხასიათის გახსნისთვის უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ კასანდრა ჰეკაბეს ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი შვილია. მიუხედავად ამისა, იმდენად დიდია შურისძების სურვილი, ის მზადაა, საკუთარი შვილი მისცეს აგამემნონს „მოსალერსებლად“. თავად კასანდრა, როგორც უდანაშაულო მსხვერპლის სახე, წარმოჩენილია დედის განზრახვაში და, მეორე მხრივ, ჰეკაბეს სახეც უკეთ იხსნება ამ

შეთავაზებაში.

სხვადასხვა ტექსტში საკმაოდ ხშირადაა ნახსენები ოდისევსი, რომელიც, ზოგადად, ცნობილი და სახელგანთქმულია, მაგრამ შეიძლება არ ჩანდეს, მას უბრალოდ ახსენებდნენ. ამ შემთხვევაში მისი, როგორც მეორეხარისხოვანი პერსონაჟის რეალიზებას ხელს უწყობს ის წინარე ცოდნა, რომელიც ანტიკურ მაცურებელს უეჭველად გააჩნდა და გააჩნია იმ მკითხველსაც, რომელიც ანტიკურ ლიტერატურას იცნობს.

ევრიპიდეს ტრაგედიაში „იფიგენია ავლისში“ ოდისევსი მხოლოდ ნახსენებია, ის არ არის მოქმედი გმირი, მაგრამ მისი არსებობა გარკვეულ გავლენას ახდენს მოქმედების განვითარებაზე. როცა აგამემნონი და მენელაოსი ბჭობენ, როგორ მოიქცნენ, შესწირონ იფიგენია მსხვერპლად თუ არა, აგამემნონი იტყვის: „წარმოიდგინე, ჭკუამზაკვარი ოდისევსი, რომელიც მამხელს, თუ როგორ არ მოვკალი იფიგენია და კალქანტის განცხადებული მისნობა უარყავი“ (ევრ.იფ.ავლ 2. 45-56). ოდისევსი, როგორც, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, ძალიან აშინებს და აფიქრებს აგამემნონს.

ზოგადად, ანტიკური კომედიის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები განსხვავებულნი არიან და ეს განსხვავება ხშირად ჟანრის მახასიათებლებით არის შეპირობებული.

„ტრაგედიისგან განსხვავებით, კომედია ორიენტირებული იყო რეალურ კონტექსტზე, სეკულარულ გარემოზე, მაცურებელთან არაფორმალურ ურთიერთობასა და ფამილარულ მეტყველებაზე, და ყოველთვის მთავრდებოდა კარგად“ (რატინი 2023:438).

ჟანრობრივი თავისებურება, ბუნებრივია, გარკვეულ გავლენას ახდენს პერსონაჟთა სახეებზე. მეორეხარისხოვან პერსონაჟთა ძირითადი ფუნქციები ანტიკურ კომედიაში ტრაგედიისაგან განსხვავებულია. ეს მოსალოდნელიც იყო და, ვფიქრობთ, ბუნებრივიცაა. სიუჟეტის განვითარება აქ განსხვავებულად ხდება და კვანძის შეკვრისთვის განსხვავებული ელემენტები გამოიყენება.

უჩინარ მეორეხარისხოვან პერსონაჟებს ვხვდებით არისტოფანეს კომედიაში „ღრუბლები“, რომელიც, შეიძლება ითქვას, არისტოფანეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კომედიაა.

„არისტოფანემ ეს კომედია წარმოადგინა ძვ.წ.ა. 423 წელს დიონისიებზე და მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. როგორც „ღრუბლების“ პარაბასიდან ჩანს, მას საკმაოდ მწარედ განუცდია მარცხი, რადგან ამ კომედიას თავად ძალიან აფასებდა. იგივე პარაბასა გვამღვეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შემდეგ არისტოფანეს კომედია რამდენადმე გადაუმუშავებია“ (გორდეზიანი 2019:503).

### ვ. ენდელაძე

---

სტრუქტურის ცოლი არ ჩანს მოქმედების განვითარებაში, ის არანაირ მონაწილეობას არ იღებს ამბის მსვლელობაში, თუმცა ქმნის ერთგვარ ფონს ამისთვის. ის არ ჩანს, როგორც მოქმედი პირი. მას ვხვდებით მხოლოდ მისი ქმრის სიტყვებში. სტრუქტურის ამბობს, ის ავი მაჭანკალი დაიღუპოს, რომელმაც ეგ ქალი ცოლად მომაცვანინაო. სოფელში და ტალახში უტკბესად ვცხოვრობდით. სოფლელი კაცი ვიყავ და ქალაქელი ცოლი მოვიყვანე, ზვიადი და კარგი ცხოვრების მოყვარულიო.

სტრუქტურის იმაში, რომ ვალებში იხრჩობა, შვილს ადანაშაულებს, ასევე, ირიბ მინიშნებას აკეთებს, რომ ცოლი რომ არ მოეყვანა, ბედნიერად იცხოვრებდა და ვალებიც არ ექნებოდა. სტრუქტურის ცოლის სახელიც არ არის ნახსენები და უსიტყვო პერსონაჟია. არც ჩანს, მაგრამ მთავარი გმირი საკუთარი უკუღმართი ცხოვრების მიზეზად სწორედ მას მიიჩნევს (არისტ. ღრუბ. 1. 40-45).

პლავტუსის „ფსევდოლში“ გვხვდებიან ისეთი პერსონაჟები, რომლებსაც ტექსტში ახსენებენ, მაგრამ არ ჩანან, თუმცა ისინი გარკვეულ ფუნქციას ასრულებენ სიუჟეტის განვითარებაში და, ამდენად, ძალიან საინტერესონი არიან.

პლავტუსის კომედიაში „ფსევდოლის“ მთავარი პერსონაჟია ცბიერი მონა, ფსევდოლი. კომედიის სიუჟეტია, როგორ ცდილობს სხვადასხვაგვარი ხრიკებით ფსევდოლი თავისი ბატონის ვაჟმა, კალიდორმა მიაღწიოს საწადელს, შეერთოს თავისი სატრფო. კომედია, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს გარკვეული კომპოზიციური ხარვეზები, პლავტუსის საუკეთესო ქმნილებად ითვლება.

კომედიაში არ ჩანს ორი პერსონაჟი - ფინიკია, ვის გამოც ხდება მთელი ეს მოქმედებები და მეომარი, რომელსაც ცოლად სურს ქალი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს მთავარი გმირისთვის. ეს ორი პერსონაჟი მუდმივად იხსენიებიან კომედიაში, თუმცა ფიზიკურად მათი ადგილი კომედიაში არ აღმოჩნდა.

ამ შემთხვევაში კიდევ უფრო საინტერესო ვითარება გვაქვს, რადგან, ფინიკია უბრალოდ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი კი არაა, ვინც შეიძლება ცალკეულ ეპიზოდში იყოს ნახსენები, არამედ ის კალიდორის სატრფოა და კომედიის სიუჟეტზე მათ ერთად ყოფნისკენ სწრაფვაზე, უფრო სწორად, ამ მიზნის მისაღწევად ფსევდოლის ხრიკებსა და გამჭრიახოებაზეა აგებული. ეს გარემოება ამ კომედიას ხიზლსა და ინტერესს მატებს.

გარკვეწილად, ემოციური წონასწორობაა დაცული იმ გარემოებით, რომ ფინიკიასთან ერთად არ ჩანს მეომარი, რომელსაც ის ცოლად სურს. ეს არ არის უბრალო გარემოება. მეომრის, როგორც პოტენციური მეტოქის არსებობა სიუჟეტს კიდევ უფრო მატებს ინტერესს და ფინიკიას, როგორც პერსონაჟის, ფუნქციად მხოლოდ სიყვარულის ობიექტის განსახიერება არ

რჩება.

„უჩინარ“ პერსონაჟს ვხვდებით პუბლიუს ტერენციუს აფერის კომედიაში „საჭურისი“. ეს კომედია დაიდგა ძვ. წ. 161 წელს და მას დიდი წარმატება ხვდა წილად. ეს პიესა ნამდვილად გამორჩეულია ავტორის სხვა ტექსტებისაგან როგორც დახვეწილობით, ასევე პერსონაჟთა ხატვის ოსტატობითა და, ზოგადად, მხატვრული დონით. მასში ცხადად იგრძნობა ბერძნული სიუჟეტების გავლენა.

ამ კომედიაში არ ჩანს პერსონაჟი პამფილა, რომლის შესახებაც მუდმივად საუბარი ტექსტში.

მეომარმა თრასომ ჰეტერა თაისს ატიკიდან ჩამოუყვანა მსახურად მისი ნახევარდა პამფილა. პამფილა მოქმედების განვითარებასა და მსვლელობაში მუდმივად ფიგურირებს, მასზე საუბრობენ, ახსნებენ, აქებენ, მის სილამაზეს და განსაკუთრებულ ჰაბიტუსს უსვამენ ხაზს, თუმცა თავად, როგორც პერსონაჟი, არ არის ჩართული კომედიაში.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის სიუჟეტთან დაუკავშირებელი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, რომელიც უშუალოდ არ არის ჩართული ამბავში, არ მოქმედებს, უშუალოდ არ გამოხატავს საკუთარ პოზიციას და ა.შ. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მასზე სხვები საუბრობენ, მის განცდებსა და ემოციებს სხვები გადმოსცემენ. ეს, თავის მხრივ, გარკვეული ნოვაციაა ანტიკურ მწერლობაში (Altalib 2013:307-313). ამ ხერხით არ არის წარმოჩენილი პერსონაჟი, როგორც თავისთავადი, თუნდაც, ავტორის მიკერძოებული პოზიციიდან გამომდინარე. აქ მკითხველი ხდება მოწმე იმისა, თუ როგორ აღიქვამს ერთი ადამიანი მეორეს და ისმის მარადიული კითხვა - რა არის ამ აღქმაში სუბიექტური და რა - ობიექტური?

მსგავს მეორეხარისხოვან პერსონაჟს ვხვდებით ჰელიოდორეს რომანში „ეთიოპიკა“. ეს ტექსტი არის ყველაზე მოცულობითი ანტიკური რომანი და თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. ტექსტი საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალშრიანია. იგი ეხება სხვადასხვა სფეროს და სხვადასხვა ტიპის მორალის გარკვეულ ერთობასაც წარმოადგენს. ეს გარემოება ტექსტს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის და ძალიან მნიშვნელოვანია ჟანრის ისტორიისა და მისი განვითარებისათვის.

„ჰელიოდორეს „ეთიოპიკის“ სიუჟეტი ჩვეულებრივია ბერძნული რომანისათვის: ულამაზეს ყმაწვილს შეუყვარდება ასეთივე ლამაზი ქალიშვილი, მაგრამ მათ ხვდებათ მრავალი წინააღმდეგობა: დაატყვევებენ, გადაიტანენ განშორების სიმწარეს, ბოლოსდაბოლოს დაქორწინდებიან. მოქმედება ხდება ეგვიპტეში, ძვ.წ. VI ს.-ში.

კომპოზიციური თვალსაზრისით, იგი საკმაოდ რთული და

### ვ. ენდელაძე

---

საინტერესოა. იმ სიახლეებიდან, რომელსაც ავტორი ჟანრის განვითარების თვალსაზრისით გვთავაზობს, აღსანიშნავია, რომ საბერძნეთი მხოლოდ მეორეხარისხოვან პერსონაჟთა თხრობაში გვხვდება, ხოლო მოქმედება ეგვიპტეში მიმდინარეობს (ჩიხლაძე 2003:196; Currie 2009:78).

„თუკი სხვა ანტიკურ რომანებში გმირი ტოვებს თავის სამყოფელს, გადალახავს მრავალ წინააღმდეგობას და ბოლოს ისევ უკან ბრუნდება, „ეთიოპიკის“ გმირი ბავშვობას საბერძნეთში ატარებს, ხოლო არაერთი განსაცდელის გადალახვის შემდეგ, შეყვარებულების ხელახალი შეხვედრა ეთიოპიაში ხდება“ (წერედანი 2023: 82).

რომანის მთავარ პერსონაჟები არიან თეაგენე და ქარიკლეა. საინტერესოა, რომ ისინი ინდივიდუალურობით ხასიათდებიან და, ამდენად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ზოგადად, ამ ჟანრის ტექსტების საერთო მახასიათებლად შეიძლება გამოვყოთ ის გარკვეული სიუჟეტური ჩარჩო, რომელიც არსებითი ნიშნებით ყველა ტექსტში ერთნაირია (Franklin, Pearl 2019:104-109).

ბერძნული რომანების სიუჟეტთა შემადგენელი მოტივები გასაოცრად ემთხვევა ერთმანეთს, იმდენად, რომ ადვილად შეიძლება ტიპური სქემის შედგენაც კი, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურება: ჩვენ წინაშეა საქორწინო ასაკის ახალგაზრდა წყვილი. მათი წარმომავლობა უცნობი ან იდუმალებით მოცულია. ორივენი გამორჩეული სილამაზის ახალგაზრდები არიან. ისინი მოულოდნელად ხვდებიან ერთმანეთს და, როგორც წესი, ეს დიდ დღესასწაულზე ხდება. მათში მოულოდნელი და წამიერი ვნება იფეთქებს, მაგრამ დაქორწინება შეუძლებელია. ქალ-ვაჟი გარკვეული გარემოებების გამო შორდება ერთმანეთს; შემდეგ ისინი ეძებენ და პოულობენ ერთმანეთს, ეს დაშორება და პოვნა რამდენჯერმე მეორდება. ჩვენს წინაშეა ჩვეულებრივი დაბრკოლებები: ქორწილის წინ პატარძლის გატაცება, მშობლების წინააღმდეგობა, შეყვარებულთა გაქცევა, მოგზაურობა, ზღვის ბრძოლა, გემის დაღუპვა, სასწაულებრივი გადარჩენა, მეკობრეთა თავდასხმა, ტყვეობა და საპყრობილეში ყოფნა; შეყვარებულთა უმწიკვლოების ხელყოფის მცდელობა, ომი, ბრძოლები, მონად გაყიდვა, მოჩვენებითი სიკვდილი, გადაცმა, ამოცნობა, მოჩვენებითი ღალატი, ცრუ ბრალდება, სასამართლო პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს აქამდე არ იცნობდნენ, გმირები პოულობენ მათ. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოულოდნელად გამოჩენილი მეგობრები ან მტრები, წინასწარმეტყველება, წინათგრძნობა, სიზმარი. რომანი მთავრდება დიდებული ქორწილით. ასეთია რომანის ძირითადი სიუჟეტური მოტივები (დაწვრ. იხ. წერედანი 2023:83-84).

მსგავსება ახასიათებს არა მხოლოდ სიუჟეტური ხაზის ძირითადად მახასიათებლებს, არამედ მთავარ პერსონაჟებსაც. როგორც წესი, ამგვარი

ტექსტები იგება შეყვარებული წყვილის ისტორიაზე და ამ წყვილის ურთიერთობაც რამდენადმე სქემატურად ვითარდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდეალიზებული წყვილი, რომელიც გარეგნულადაც აბსოლუტურად გამორჩეულია, აწყდება უამრავ წინააღმდეგობას იმისათვის, რომ ერთად ყოფნას მიაღწიოს.

რომანის ტექსტში არ ჩანს პერსონაჟი ალკამენე. ის არის თეაგენეს მოწინააღმდეგე, რადგან სწორედ მასზე სურს ქარიკლეს გათხოვება ქარიკლეს. ეს ტრადიციული და მარადიული დაპირისპირება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ალკამენე არ ჩანს და ის მხოლოდ შეყვარებული წყვილის ამბის განვითარების ერთ-ერთი შესაძლო, რაც მთავარია, ცუდი, ვარიანტია.

ალკამენეზე საუბრობენ და, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ჩანს, მთავარ გმირში შიშსა და აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ შესაძლოა, მასზე დააქორწინონ. შეიძლება, ამით განისაზღვროს კიდევ ამ მეორეხარისხოვანი პერსონაჟის ფუნქცია, რომელიც ცხადი ხდება მზაობით - შესაძლებლობის შემთხვევაში იქორწინოს ქარიკლეაზე. ის, ცხადია, არავითარ ღონეს არ ხმარობს ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ რომანში ამას აკეთებს ქარიკლე. ეს კიდევ უფრო ნათელს ხდის, რატომაა შიშისმომგვრელი ის ქარიკლესათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი პერსონაჟის ძალისხმევა იცვლება მეორე პერსონაჟის ძალისხმევით. მხატვრული ეფექტი იგივეა, თუმცა ამ მხატვრული გადაწყვეტილების შედეგად, მეორეხარისხოვან პერსონაჟთა გალერეას კიდევ ერთი უჩინარი წევრი შეემატა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეორეხარისხოვან პერსონაჟს, რომელიც თავად არ ჩანს მხატვრულ ტექსტში და მოქმედების განვითარებაში არ მონაწილეობს, მკითხველი ეცნობა სხვა პერსონაჟთა დახასიათებიდან, სხვის მიერ ნაამბობიდან, რაც ანტიკურ მწერლობაში გარკვეული ნოვაციაა.

უჩინარი მეორეხარისხოვანი პერსონაჟები ზოგჯერ საფრთხეს უქმნიან მთავარ გმირებს, აბრკოლებენ წყვილს და ხელს უშლიან მათ ერთად ყოფნაში, მაშინაც კი, როცა მათი ძალისხმევა ტექსტში საერთოდ არ ჩანს (Hack 2017:418-425).

უჩინარი პერსონაჟი შეიძლება არ იყოს ეპიზოდური და მთელი მოქმედების მანძილზე წარმოადგენდეს მთავარი გმირის ამა თუ იმ ნაბიჯის მოტივს, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის თავად არაფერს არ აკეთებს.

ანტიკური ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრმა მიმართა მსგავს მხატვრულ ხერხს საკმაო წარმატებით. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგივე ხერხი ასეთი წარმატებით აიტაცეს შემდგომი ეპოქების მწერლებმა და თანამედროვე ლიტერატურაშიც მრავლად დაიძებნებინ

### ვ. ენდელაძე

---

უზინარი, მაგრამ ხშირად მრავალფუნქციური მეორეხარისხოვანი პერსონაჟები.

#### ლიტერატურა

- არისტოფანე. 2013. კომედიები, XI ტ., („აქარნელები“, „მხედრები“, „ლრუბლები“, „კრაზანები“) თარგმანი ლევან ბერძენიშვილისა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ევრიპიდე. 2022. ტრაგედიები: „ალკესტისი“, „მედეა“, „ჰერაკლიდები“, „ჰიპოლისტოსი“, „ანდრომაქე“, „ჰეკაბე“, „მავედრებელი ქალები“, თარგმანი ნანა ტონიასი, გამომცემლობა პალიტრა L.
- ევრიპიდე. 2022. ტრაგედიები: „ჰერაკლე“, „ტროელი ქალები“, „ელექტრა“, „ვინიკიელი ქალები“, „ორესტესი“, „ბაკქი ქალები“, „იფიგენია ავლისში“, თარგმანი ნანა ტონიასი, გამომცემლობა პალიტრა L.
- ელინისტური და რომაული კომედია. 2013. ტ. XVIII, ტიტუს მაკვიუს პლავტუსი, „ფსევდოლი“ (თარგმანი იამზე გაგუასი), პუბლიუს ტერენციუს აფერი „საჭურისი“ (თარგმანი მანანა ფხაკაძისა), მენანდროსი, „დისკოლოსი“ (თარგმანი მანანა ფხაკაძისა), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- რატინი, ი. 2023. ტრაგედია - უძველესი ლიტერატურული ჟანრი. ლიტერატურული ჟანრები I. თბილისი.
- სოფოკლე. 2021. აიასი. მთარგმნელი გიორგი კახიშვილი, თბილისი.
- ჩიხლაძე, ნ. 2003. ამძონობის მოტივი ანტიკურ ლიტერატურაში, „ლოგოსი“, თბილისი.
- წერედიანი, ა. 2023. ანტიკური რომანი, ლიტერატურული ჟანრები ტ. I, თბილისი.
- ჰელიოდორე. 2008. ეთიოპიკა, მთარგმნელი გიგლა სარიშვილი, თბილისი.
- Daniel, Hack. 2017. „Fictional Character: Response, Victorian Studies“, Vol. 59, No. 3, *Papers and Responses from the Fourteenth Annual Conference of the North American Victorian Studies Association*.
- Ruth, Franklin, Maayan, Pearl. 2019. „Character Development“, *Foreign Policy*, No. 209.
- Gregory, Currie. 2009. „Narrative and the Psychology of Character“. *The Journal of Aesthetics and Art Criticism*, Vol. 67, No. 1, Special Issue: The Poetics, Aesthetics, and Philosophy of Narrative, pp. 61-71.
- Omar, Altalib. 2013. „Character and Personality“, From: Parent-Child Relations: *A Guide to Raising Children, International Institute of Islamic Thought*.
- David, Carr. 2014. „Four Perspectives on the Value of Literature for Moral and Character Education“, *The Journal of Aesthetic Education*, Vol. 48, No. 4.



Classics

**“Invisible” Secondary Characters  
in Ancient Literature**

**Vakhtang Endeladze**

endeladze.vakhtang@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.12>

*In the traditional sense, a character should be a participant in the story, perform an action, express an attitude towards this or that object or event... This view has changed, to some extent, by those characters who are only mentioned by others, but are connected to any possible option of the development of the story. In the article, we will discuss the secondary characters of the texts of ancient literature, who do not appear in the development of the story, but have a certain, sometimes, even a key function. Moreover, they do not play an episodic role, but even appear throughout the story. This “invisibility” does not necessarily prevent their individualization.*

**Keywords:** *ancient literature, secondary invisible character.*

In ancient literature, there are many famous characters whose names are associated with myths, expressions, idioms, concepts and more, such as: Achilles' heel, Oedipus' complex, beautiful Helen, mentoring conversations and many others.

While working on secondary characters, I discovered that in ancient literature there are characters who neither have a name nor attract much attention, but, no matter how surprising, they make quite interesting artistic faces.

In the traditional sense, a character must perform a certain function in the text, must be a participant in the story, perform an action, express an attitude towards objects, events, other characters. To some extent, this view is changed by characters who are only mentioned by others, but are connected to any possible options for the development of the story.

Similar characters appeared in a special abundance in ancient drama and artistic prose (novel). In “Oedipus the King” by Sophocles, Oedipus in his dialogue with Jocasta mentions a certain man (drunkard) who was drunk with wine, to whom he said that Oedipus had been abandoned by the king. A drunkard, whose words make Oedipus think and frighten even more, may the words of Tiresias not be justified (Sophocles, *Oid.1*, 23-25).

### ვ. ენდელაძე

---

This drunkard, whose words cause the main character to panic, does not appear in the text and we meet him only in the story of Oedipus. It is a kind of narrative within a narrative, a character without the main characteristics of a character.

In general, secondary characters may be less characterized as having all the traits that traditionally a story participant should be characterized by, but this does not prevent them from being individualized. Moreover, a secondary character, regardless of whether it appears in the text or not, can have an interesting function (Carr 2014:3-15).

Hector is such a character in Sophocles' tragedy "Aias". He is dead during the development of the story, although he still has some functions. Teucross says: "Hector, with the girdle dedicated to Aias, tied firmly to the wheel of the chariot, was martyred until his soul departed from his body. And Ayas died with a gift dedicated to him, falling to death (Soph. Ayas. 1030-1035). A dead Hector can be said to kill Aias.

In general, secondary characters in ancient comedy are different, and this difference is often determined by the characteristics of the genre. Unlike tragedy, comedy focused on a real context, a secular setting, an informal relationship with the audience, and familiar speech, and always ended well" (Ratiani 2023: 438).

The peculiarity of the genre naturally has a certain influence on the faces of the characters. The main functions of secondary characters in ancient comedy are different from tragedy. This was expected and, we think, natural. The development of the story here is different and different elements are used to tie the knot.

We find invisible secondary characters in Aristophanes' comedy "The Clouds", which can be said to be one of Aristophanes' most popular comedies.

Strepsiades' wife does not appear in the development of the action, she does not take any part in the course of the story, although she forms a kind of background for it. She does not appear as an actor. We meet her only in the words of her husband. Strepsiades says: "May the matchmaker die, who married me to that woman. I lived happily in the village and in the mud. I am a country man and I have married a city wife, a lover of the good life.

Strepsiades blames his son for drowning in debts, and also makes an indirect hint that if he had not taken a wife, he would have lived happily and had no debts. The name of Strepsiades' wife is not mentioned and she is a speechless character. It is not even visible, but the main character considers him the reason for his perverse life (Arit. Cloud. 1. 40-45).

We find a similar secondary character in Heliodorus' novel "Ethiopica". This text is the most voluminous ancient novel. The text is quite diverse and multi-layered. It refers to different areas and represents a certain unity of different

types of morality. This circumstance makes the text particularly interesting and very important for the history of the genre and its development.

As a conclusion, we can say that the secondary character, who does not appear in the artistic text and does not participate in the development of the action, is introduced to the reader from the characterization of other characters, from the narration by someone else, which is a certain innovation in ancient writing.

Invisible secondary characters sometimes threaten the main characters, hinder the couple and prevent them from being together, even when their efforts are not at all visible in the text.

An invisible character may not be episodic, and throughout the action may be a motive for one or another move of the main character, despite the fact that he himself does nothing for it.

Almost all genres of ancient literature applied this artistic technique with considerable success. The proof of this is even the fact that the same method was so successfully adopted by the writers of later eras, and in modern literature, invisible but often multi-functional secondary characters can be found in abundance.